



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაცგა

ლაცგა, მთა მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდ-ების – მესტიაქალისა (მულხრის მარჯვ. შენაკადი) და ადირსუს (ბაქსანის მარჯვ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 8. დ. 4019 მ. დაპყურებს ლეხტირის მყინვარის სათავეს. აგებულია პალეოზოური გრანიტებით. დაფარულია მყინვარებით. პირველი ასვლა უდელტეხილიდან განხორციელდა 1933 (ხელმძღვ. ა. ჭავარიძე; მონაწილეობდნენ დ. ფურცელაძე, ი. მარი).
